1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება – საერთაშორისო ეკონომიკა

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – ეკონომიკის დოქტორი (PhD in Economics)

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საერთაშორისო ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ემდ, პროფ. **ლარისა დიმიტრის ასული ყორღანაშვილი**

4. პროგრამის მიზანი - "საერთაშორისო ეკონომიკის" სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი ეკონომისტები და ექსპერტები საერთაშორისო ეკონომიკაში, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ტიპის სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში. სტუდენტები შეიძენენ საერთაშორისო ეკონომიკის ღრმა თეორიულ ცოდნას და აითვისებენ გამოყენებითი ხასიათის კვლევისათვის აუცილებელ მეთოდოლოგიას, გლობალური ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის თეორიულ საფუძვლებს, ასევე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკურ, სოციალურ და ეთიკურ მხარეებს.

საერთაშორისო ეკონომიკის სადოქტორო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობა განპირობებულია გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაციითა და საქართველოსათვის საგარეო ფაქტორის დიდი მნიშვნელობით.

გლობალურ ეკონომიკური სივრცეში სუვერენული სახელმწიფოს ეფექტიანი ინტეგრირების პროცესების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მეცნიერულ კვლევას, აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთებული საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციას, მაღალი დონის სპეციალისტები სჭირდება. სწორედ ასეთი სპეციალისტების მომზადებას ემსახურება საერთაშორისო ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა.

პროგრამის გამოკვეთილი თავისებურებაა ინტეგრირებული ცოდნის მიღების შესაძლებლობა. იგი მოიცავს თემებს ისეთი სფეროებიდან, როგორებიცაა: ფილოსოფია, პოლიტიკა, ფსიქოლოგია, გლობალიზმი და ნაციონალიზმი, სტრატეგიული და ოპერატიული პრობლემები მსოფლიო ეკონომიკაში, სწავლების მეთოდები, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ზემოქმედება საერთაშორისო ეკონომიკაზე.

პროგრამა ეყრდნობა საერთაშორისო და გლობალური ეკონომიკის თეორიებს. კურიკულუმი იძლევა საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემების

გადაწყვეტისათვის აუცილებელი კვლევითი უნარ-ჩვევების დაუფლების შესაძლებლობას.

პროგრამის კვლევის სფეროებია: წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა, გლობალური ეკონომიკა და ეკონომიკური უსაფრთხოება, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ფინანსები და ბანკინგი, ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგია და ტაქტიკა გლობალურ ეკონომიკურ გარემოში, საერთაშორისო კონკურენცია და ქვეყნების კონკურენტუნარიანობა, ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ზრდა და განვითარება, სხვადასხვა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი, გლობალური ეკონომიკური პრობლემები და სხვა.

5) პროგრამის შედეგი: ეკონომიკის დოქტორის ხარისხი ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც:

- აქვთ ფუნდამენტური თეორიული, სპეციალური და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ეკონომიკაში, შეუძლიათ ამ ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენება და პრობლემების გადაჭრა ორიგინალური გზით;
- შეუძლიათ პროფესიულ დონეზე საერთაშორისო ეკონომიკის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა, ამოცანების დაგეგმვა და მათი რეალიზაცია;
- შეუძლიათ საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში მოქმედება, კრიტიკული მიდგომის საფუძველზე რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზის განხორციელება, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი, განზოგადებული დასკვნების გამოტანა, მიღებული გადაწყვეტილებების მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით;
- ექსპერტის დონეზე შესწავლილი აქვთ საერთაშორისო ეკონომიკის კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, შეუძლიათ მათი პრაქტიკული გამოყენება, აგრეთვე კვლევის ახალი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;
- გააჩნიათ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის უნარი;
- შეუძლიათ არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება, ჯგუფების მუშაობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;
- თეორიულად და პრაქტიკულად აქვთ ათვისებული სწავლების თანამედროვე ფორმები და მეთოდები;
- გააჩნიათ პედაგოგიური, კრეატიული, კომუნიკაციური, ინოვაციური საქმიანობის, მეცნიერული კვლევის, ახალი ცოდნის გენერირების უნარ-ჩვევები.

6) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: პროგრამა პასუხობს იმ ადამიანთა ინტერესებს, რომელთაც სურთ პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. კურსდამთავრებულები შეძლებენ თანამდებობების დაკავებას საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საკონსულტაციო დაწესებულებებში, აგრეთვე უმაღლესი დონის ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავებას სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კომპანიებში.

7). სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: კანდიდატს უნდა ჰქონდეს ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის სფეროებთან დაკავშირებული მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული დიპლომი. შესაძლებელია სხვა სფეროს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირების მიღება, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უნდა განიხილონ საკუთარი პროფესიული მომზადების დონე და საჭიროების შემთხვევაში დაეუფლონ საერთაშორისო ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსებს. მუშაობის გამოცდილება არაა სავალდებულო პირობა.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები განსაზღვრულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

8). სასწავლო კომპონენტი: პროგრამა 3-წლიანია და იყოფა ორ ნაწილად: სადოქტორო კურსების შესწავლა და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა. სასწავლო კომპონენტი შეადგენს კრედიტების საერთო რაოდენობის 1/3, დანარჩენი 2/3 ეთმობა კვლევას. სასწავლო კომპონენტი (მთლიანობაში 60 კრედიტი) გულისხმობს: ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას, დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ტრანსფერირებადი უნარების განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლასა და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში. დოქტორანტმა სწავლის და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.

9). სასწავლო გეგმა:

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტების ჩართვას სადოქტორო კოლოკვიუმებში. სადოქტორო კოლოკვიუმი წარმოადგენს ფორუმს სტუდენტებისათვის, რომლებსაც სურთ განიხილონ თავიანთი სადისერტაციო კვლევის შედეგები. ასეთი განხილვა უზრუნველყოფს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში მიღწეული პროგრესის მეთვალყურეობის შესაძლებლობას. კოლოკვიუმზე ხდება კვლევის შედეგების პრეზენტაცია, მიღწევებისა და პრობლემების განხილვა. დოქტორანტი ვალდებულია სწავლის პერიოდში სამჯერ წარდგეს კოლოკვიუმზე მოხსენებით. თითოეული კოლოკვიუმი ფასდება 5-5 კრედიტით.

პროგრამის სტრუქტურა:

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა გაიარონ სავალდებულო და არჩევითი კურსები.

დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	15
კვლევის მეთოდები	სავალდებულო	5
დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
დოქტორანტის III კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	10
უცხოეთის აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსი	არჩევითი	10
აკადემიური წერა	არჩევითი	5

10). სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ თსუ მაღლივი კორპუსის უახლესი კომპიუტერული კლასებით, რომელიც აღჭურვილია ტრადიციული პროგრამების პაკეტით და ჩართულია ინტერნეტში, ასევე, ელექტრონული ბიბლიოთეკით. მათთვის

ხელმისაწვდომია პრინტერი, ტელეფონი, ელ-ფოსტა. ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები ემსახურება პრეზენტაციების მოწყობას. საკუთარი გამოცდილების გაღრმავების მიზნით, დისერტაციაზე მუშაობის პროცესში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეთ არა მხოლოდ ხელმძღვანელთან, არამედ სხვა მეცნიერებთან. მათ შეუძლიათ გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები როგორც დამოუკიდებლად, ასევე თანაავტორობით, შესაბამის სამეცნიერო გამოცემებში. საერთაშორისო ეკონომიკის კათედრის დოქტორანტებს სამეცნიერო კვლევების განხორციელება შეუძლიათ კათედრასთან არსებულ მსოფლიო ეკონომიკის ცენტრში, აგრეთვე გლობალური ბიზნესის სასწავლო-სამეცნიერო და კონსალტინგურ ცენტრში. თვითდაფინანსების შემთხვევაში სტუდენტებს ექნებათ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში კვლევების განხორციელების შესაძლებლობა.